01/35

ხელშეკრულება № 41723
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 01 აპრილი, 2011 წელი

ერთი მხრივ, 1. სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ჩახნაშვილის სახით; 2. სსიპ – სკოლის მანდატურის სამსახური, წარმოდგენილი სამსახურის უფროსის ზვიად ხიდიშელის სახით; 3. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, წარმოდგენილი დირექტორის დავით კერესელიძის სახით და 4. სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თინათინ ბოჭორიშვილის სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და **მეორეს მხრივ,** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი (შემდგომში – მიმწოდებელი), დაცვის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს უფროსის *ბესიკ ბანიაშვილის* სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია ქ. თბილისში, ალექსიძის ქ. №1-ში მდებარე შენობა-ნაგებობა №1-ში შენობაში საპოლიციო ძალებით (I, II, III და IV სართულები) და ტექნიკური საშუალებებით (I სართულის მარცხენა ფლიგელი და III სართული) დაცვის მომსახურების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე).

1.2 წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გათვალისწინებული ობიექტის საპოლიციო ძალებით დაცვას, განახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის II სამმართველოს I განყოფილება: პოლიციის 1 (ერთი) უფროსი ინსპექტორის, 3 (სამი) ინსპექტორისა და 6 (ექვსი) უმცროსი ინსპექტორის საშტატო ერთეულით, ხოლო ობიექტის დაცვას დაცვის ტექნიკური საშუალებებით განახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, გამოკვლევის აქტით გათვალისწინებული დაცვის რეჟიმით.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

74320 ლარი

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 73 800.00 (სამოცდაცამეტი ათას რვაასი) ლარს), ყველა გადასახადისა და ხარჯის ჩათვლით.

2.3 ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული „დაცვის" მომსახურების ღირებულებიდან საპოლიციო ძალებით დაცვის მომსახურების ღირებულება 1 (ერთი) თვეში შეადგენს 8000.00 (რვა ათასი) ლარს ყველა გადასახადის ჩათვლით (მათ შორის: პოლიციის ერთი უფროსი ინსპექტორი - 1100.00 ლარი, ერთი ინსპექტორი - 900.00 ლარი, ერთი უმცროსი ინსპექტორი - 700.00 ლარი);

2.4 ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული „დაცვის" მომსახურების ღირებულებიდან ტექნიკური საშუალებებით დაცვის მომსახურების ღირებულება ერთ თვეში შეადგენს 200.00 (ორასი) ლარს ყველა გადასახადის ჩათვლით (ერთი გასაღები - 135 ლარი, ხოლო ყოველი მომდევნო 65.00 ლარი);

2.5 დაცვის მომსახურების საგადასახადო დოკუმენტაციის გამოწერას უზრუნველყოფს შსს სსიპ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 მომსახურების გაწევის ვადაა 2011 წლის 02 აპრილიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2 მომსახურების გაწევის ადგილად ითვლება ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. №1, შენობა-ნაგებობა №1.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ:

1. სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს საფინანსო სამსახურის მენეჯერი პეტრე ხუციშვილი.
2. სსიპ – სკოლის მანდატურის სამსახურის საფინანსო სამმართველოს კოორდინატორი ზურაბ მარკოზაშვილი.
3. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციის უფროსი ნოდარ ხარაზიშვილი.
4. სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის ტექნიკური მენეჯერი დავით ხვედელიძე.

5.3 ხელშეკრულების შესრულებაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს მიმწოდებლის მხრიდან წარმოადგენენ შსს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ამ უკანასკნელის მიერ მომსახურების გაწევისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 20 დღისა.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

6.4 ანგარიშსწორება განხორციელდება თანადაფინანსების პრინციპით და შესაბამისად ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა ყველა სამსახურზე განისაზღვრება თანაბრად, ხელშეკრულების საერთო ღირებულების გათვალისწინებით. კერძოდ:

საპოლიციო ძალებით დაცვის მომსახურება:

1. სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო – 18 000.00 (თვრამეტი ათასი და 00 თეთრი) ლარი.
2. სსიპ – სკოლის მანდატურის სამსახური – 18 000.00 (თვრამეტი ათასი და 00 თეთრი) ლარი.
3. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი – 18 000.00 (თვრამეტი ათასი და 00 თეთრი) ლარი.
4. სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი – 18 000.00 (თვრამეტი ათასი და 00 თეთრი) ლარი.

ტექნიკური საშუალებებით დაცვის მომსახურება:

1. სსიპ – სკოლის მანდატურის სამსახური – 900.00 (ცხრაასი და 00 თეთრი) ლარი.

1. სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი – 900.00 (ცხრაასი და 00 თეთრი) ლარი.

6.5 ანაზღაურების ადგილია ქ. თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- წერილობითი ფორმით გონივრულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს მომსახურების გაწევის დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ;
- „ობიექტის" მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში, არ შევიდეს მასში დაცვის თანამშრომლების გარეშე და არ დაიწყოს მატერიალურ ფასეულობათა აღწერა;
- მიმწოდებელს 15 დღით ადრე აცნობოს და მასთან შეთანხმებით გადაწყვიტოს „ობიექტზე" მოსალოდნელი ყველა ის ცვლილება, რომელიც შეეხება დაცვის უსაფრთხოებას („ობიექტის" დაცვითი სიგნალიზაციით აღჭურვა, მუშაობის რეჟიმის ცვლილება, სამშენებლო სარემონტო სამუშაოების წარმოება და ა.შ.);
- დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე არ დააკავალოს დაცვის თანამშრომლებს იმ ობიექტების დაცვა, რომლებიც არ არის განსაზღვრული მოკვლევის აქტით;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უარი თქვას მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე:

ა) იმ შემთხვევაში, თუკი შემსყიდველმა არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, გამოკვლევის აქტების მოთხოვნები;

ბ) მატერიალურ ფასეულობების ქურდობისათვის, თუ ქურდობა ჩადენილია შემსყიდველის მიერ „ობიექტის" დაცვისათვის ჩაუბარებლობის მიზეზით;

გ) თანამშრომელთა პირად საკუთრებაზე, რომელიც დატოვებული იქნა დასაცავ „ობიექტში";

- მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- არ გაამჟღავნოს შემსყიდველის სამსახურებრივი საიდუმლოება;
- განახორციელოს დაცვა ცეცხლსასროლი იარაღით;
- „პოლიციის შესახებ" კანონის მოთხოვნათა შესაბამისად კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები;
- პასუხი აგოს მატერიალური ზარალისათვის, თუკი ეს ზარალი გამოიწვეულია მიმწოდებელზე დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების გამო;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, რაზედაც უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელშიც უნდა იყოს მითითებული დამატებითი ვადები დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება/შეტყობინება.

8.3. თუ მიმწოდებელი გაფრთხილების/შეტყობინების შემდეგაც არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა ხელშეკრულების საერთო/ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.5 ხელშეკრულების გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.

8.7. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2011 წლის 01 აპრილიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით და/ან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.4 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირები.

14. სხვა პირობები

14.1 მიმწოდებლის მიერ დაცვის განხორციელების დროს შემსყიდველისათვის მიყენებული ზარალის ოდენობის განსაზღვრა მოხდება მხარეთა მონაწილეობით შედგენილი შედარების აქტით, რომელიც უნდა ეურდნობოდეს შემსყიდველის საბუღალტრო დოკუმენტაციას.

14.2 შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას მიმწოდებელი ახდენს ერთობლივი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე ურთიერთშეთანხმებით 30 დღეში ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე 30 კალენდარულ დღეში.

14.3 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.4 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.5 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, აქვს ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ორი პირი მიმწოდებელთან და ოთხი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.6 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
მის: ქ. თბილისი
მდ. უზნაძის ქ. 68

სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი 220101222
ა/ა 200122900
ს/კოდი: 202294980

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორი

გიორგი ჩახნაშვილი

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
მის: ქ. თბილისი
მ. ალექსიძის ქ. №1
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი 220101222
ა/ა 200122900
ს/კოდი: 202330566

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის დირექტორი

დავით კერესელიძე

სსიპ სკოლის მანდატურის სამსახური
მის: ქ. თბილისი
მ. ალექსიძის ქ. №1

სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი 220101222
ა/ა 200122900
ს/კოდი: 205296650

სსიპ სკოლის მანდატურის სამსახურის უფროსი

ზვიად ნიდიშელი

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
მის: ქ. თბილისი
მ. ალექსიძის ქ. №1
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი 220101222
ა/ა 200122900
ს/კოდი: 204578064

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

თინათინ ბოჭორიშვილი

მიმწოდებელი:

შ.ს.ს. საჯარო სამართლის იურიდიული პირი „დაცვის პოლიციის დეპარტამენტი"
მის: დ. აღმაშენებლის ხეივ. მე-11 კმ.
ს/ს „ლიბერთი ბანკი"
ბ/კოდი LBRTGE22
ა/ა GE79LB0121158098584011
ს/კოდი: 211350928

ბ. ბახია შვილი

ა ქ ტ ი № 01/35

საპოლიციო ძალის დაყენების შესახებ

„2" აპრილი 2011წ　　　　　　　　　　　　　　　　ქ.თბილისი

შსს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ქ.თბილისის II სამმართველოს I განყოფილების ზონალური მუშაობის ჯგუფის გმს ინსპექტორმა, პოლიციის ლეიტენანტმა ლ.მუსელიანმა და სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტო"-ს დირექტორის **გიორგი ჩახნაშვილის**, სსიპ „სკოლის მანდატურის სამსახური"-ს უფროსის **ზვიად ხიდაშელის**, სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი"-ს დირექტორის **დავით ქერესელიძის** და სსიპ „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი"-ს გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის **თინათინ ბოჭორიშვილის** სახით შევადგინეთ აქტი მასზედ, რომ საქ. შსს სსიპ დპ დეპარტამენტსა და სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს, სსიპ-სკოლის მანდატურის სამსახურის, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის და სსიპ-შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდ"-ს შორის გაფორმებული /01.04.11წ/ №1/1723 ხელშეკრულების საფუძველზე ქ.თბილისის II სამმართველომ მ.წ. 02 აპრილს დილის 16.00 საათიდან დააყენა საპოლიციო დაცვა 1 (ერთი) უფროსი ინსპექტორის 3 (სამი) ინსპექტორის და 6 (ექვსი) უმცროსი ინსპექტორის საშტატო ერთეულით ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. №1-ში მდებარე შენობა ნაგებობა №1-ში.

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელის მოწერით:

1 [signature] /ლ.მუსელიანი/

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"

საქ. შსს სსიპ დპ დეპარტამენტის
ქ. თბილისის II სამმართველოს
უფროსი პოლიციის პოლკოვნიკი

თ. კაველიძე

... 2011 წ.

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"

სსიპ „საგანმანათლებლო და
სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტოს დირექტორი

გ. ჩახნაშვილი

... 2011წ.

სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ცენტრის
დირექტორი

[illegible]ელიძე

„......" აპრილი 2011 წ.

სსიპ სკოლის მანდატურის
სამსახურის უფროსის

ზ. ხიდაშელი

... 2011 წ.

სსიპ შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

თ. ბჟოლიაშვილი

... 2011 წ.

ურთიერთშეთანხმება
№ 1/3612

ქ. თბილისი

„15" 07 2011 წ.

2011 წლის 1 აპრილს გაფორმებული №1/1723 ხელშეკრულების (სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, სსიპ - სკოლის მანდატურის სამსახურის (01/35), სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (01/50) ობიექტის საპოლიციო ძალებით დაცვის შესახებ) მხარეები, სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, დირექტორის *გიორგი ჩაბნაშვილის* სახით, სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური (სსიპ - სკოლის მანდატურის სამსახური) სამსახურის უფროსის *ზვიად ბიდიშელის* სახით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, დირექტორის მოადგილის *დავით კურესელიძის* სახით, სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, გენერალური დირექტორის *სულხან სისაური* სახით („შემსყიდველად" წოდებული), ერთი მხრივ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი („მიმწოდებლად" წოდებული), დაცვის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს უფროსის *ბესიკ ბაჩიაშვილის* სახით, მეორე მხრივ, 2011 წლის 1 აპრილს გაფორმებული №1/1723 ხელშეკრულების 14.6 პუნქტის საფუძველზე წერილობით ვთანხმდებით შემდეგზე:

1. სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებით 2011 წლის 1 აპრილს გაფორმებული №1/1723 ხელშეკრულებაში და მისგან ნაწარმოებ ყველა სამართლებრივ ურთიერთობაში (ურთიერთშეთანხმება, ბრძანება, ანგარიშ-ფაქტურა, მიმოწერა და ა.შ.) სსიპ - სკოლის მანდატურის სამსახური მოხსენიებულ იქნეს, როგორც „სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური";

2. 2011 წლის 1 აპრილს გაფორმებული №1/1723 ხელშეკრულებაში და მისგან ნაწარმოებ ყველა სამართლებრივ ურთიერთობაში (ურთიერთშეთანხმება, ბრძანება, ანგარიშ-ფაქტურა, მიმოწერა და ა.შ.) სსიპ - სკოლის მანდატურის სამსახურის უფლება-მოვალეობებზე პასუხისმგებელია „სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური";

3. წინამდებარე ურთიერთშეთანხმება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან

4. წინამდებარე ურთიერთშეთანხმება შედგენილია ექვსი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ოთხი ინახება „შემსყიდველთან", ხოლო ორი „მიმწოდებელთან".

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი"
სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტო, ს/კ №202294980

დირექტორი

გ. ჩაბნაშვილი

სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების
მანდატურის სამსახური ს/კ №205296650
ხელშეკრულები №01/35 (1723)

სამსახურის უფროსი

ზ. ბიდიშელი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი, ს/კ №202330566

დირექტორის მოადგილე

დ. კერესელიძე

სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდი, ს/კ №204578064
ხელშეკრულები №02/50 (1723)

გენერალური დირექტორი

ს. სისაური

„მიმწოდებელი"
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საჯარო სამართლის იურიდიული პირი _
დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, ს/კ 211350928

დაცვის ორგანიზაციის მთავარი
სამმართველოს უფროსი

ბ. ბაჩიაშვილი